ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6186254

ნომერი: AR1931324

თარიღი : 29.10.2022

გაცემის თარიღი : 03.11.2022

გაცნობის თარიღი : 03.11.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გორგასლის ქუჩა , N117-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი ბრეკაშვილი პ/ნ 40001039606
- სიღნაღი ს. ქვემო ბოდბე მე–17 ქ. N 6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

- წარმოსადგენია ახალი დღეის მდგომარეობით გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები (თქვენს მიერ ამჟამად წარმოდგენილია AR1929759 განცხადებაზე ატვირთული ფოტოსურათები).

- არ დგინდება ცალკე მდგომი კონსტრუქციის (რომელზედაც ითხოვთ სარეკლამო აბრების მოწყობას) კანონიერების საკითხი, უკანონოდ განხორციელებული სამუშაოების შემდგომ განვითარებაზე სამსახური ვერ იმსჯელებს და ნებართვას ვერ გასცემს, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთვევაში სარეკლამო აბრები წარმოადგინეთ მხოლოდ კანონიერ შენობა-ნაგებობაზე.

- ვინაიდან წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების ვადა აღემატება 1 წელს, საჭიროა მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და განახლებული ამონაწერის წარმოდგენა... რაც შეეხება სარეკლამო კონსტრუქციას, კონსტრუქციის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდება დამატებით თანხმობების წარმოდგენის საკითხი.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.